3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქში არსებული სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების დამოუკიდებლად მოვლა – პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავი მთლიანად აზიანებს ჭერს და მაღალ სართულებზე განთავსებულ ბინებზე მითითებული ღონისძიებების განხორციელების რიგითობა და მისამართები დამოკიდებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აქტიურობაზე.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	კორპუსების სახურავის ექსპლოატაციის ვადის ზრდა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებლისთვის სხვადასხვა სახეობის მასალის შექმნა გადაცემა		200.0	
		საბანკო გარანტიის მომსახურება		15.0	
		დასაბრუნებელი 2.5%		0.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ენერგოეფექტური კორპუსები, რეაბილიტირებული სახურავები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		რეაბილიტირებული სახურავებისა და ენერგოეფექტური კორპუსების რაოდენობა	235	312	მომართვიანობა

დ.თ) ქვეპროგრამა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოტუმბვის სამუშაოები
(პროგრამული კოდი 02 05 08)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	150.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქში არსებული სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ მათი საერთო ქონების დამოუკიდებლად მოვლა – პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყალი აზიანებს შენობის საძირკველს, რაც ხელს უშლის მათი კონსტრუქციული მდგრადობის შენარჩუნებას. შექმნილია ანტისანიტარიის კერები, რის გამოც მოსალოდნელია სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გავრცელება. მითითებული ღონისძიებების განხორციელების რიგითობა და მისამართების ნუსხის დამტკიცება დამოკიდებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აქტივობაზე.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მაღლივი კორპუსების საძირკვლის მდგრადობის შენარჩუნება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში არსებული წყლის ამოტუმბვის სამუშაოები	150.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მდგრადობაშენარჩუნებული მაღლივი კორპუსების სარდაფები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		რეაბილიტირებული სარდაფების რაოდენობა	0	70	მომართვიანობა

ე) პროგრამა: ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 06)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულები – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავებისა და საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურები			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	1,125.7			
3.	პროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია ქალაქში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; ქალაქის მიმზიდველობის გაზრდისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით; ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ისეთი სხვადასხვა სახის ლოკალური პრობლემების აღმოფხვრა, რომლებიც წლების განმავლობაში მოუგვარებელია და ასახვა ვერ ჰპოვა ბიუჯეტში.			
4.	პროგრამის მიზანი	ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, ტურისტებისთვის მიმზიდველი ქალაქი			
5.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ესთეტიკური და ტურისტებისთვის მიმზიდველი ქალაქი			

		ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
6.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ტურისტების რაოდენობა			
		პროექტების რაოდენობა			

ე.ა) ქვეპროგრამა: ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	20.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ტურიზმი ქუთაისის ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ქალაქის მდებარეობისა და ახლომდებარე აეროპორტის დატვირთვის ზრდის პარალელურად, ქალაქში სულ უფრო იზრდება ტურისტების რაოდენობა, თუმცა, გარდა ტურისტული ჰაბისა, მნიშვნელოვანია ქალაქს დამოუკიდებელი ტურისტული ფუნქციაც ჰქონდეს. შესაბამისად, აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ტურისტული ჰაბის ფუნქციონირების ხელშეწყობა, ქალაქის ტურისტულ ცენტრად გადაქცევა რეგიონში			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ზურაბ კუხიანიძის სახელობის სკვერისა და მიმდებარე ტერიტორიაზე რიონის განაპირა ზოლის მოწყობა	20.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ახალი ან რეაბილიტირებული ტურისტული ობიექტები	1	1	N/A

ე.ბ) ქვეპროგრამა: ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება (პროგრამული კოდი 02 06 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	85.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქის მასშტაბით, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით არსებული პრობლემების მოგვარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, წლების განმავლობაში მოუგვარებელია სხვადასხვა პრობლემატური საკითხის გადაწყვეტა, მოქალაქეებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა, მითითებული ღონისძიებების განხორციელების რიგითობა და მისამართები განისაზღვრება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მომართვების საფუძველზე.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რაც ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული და მოსახლეობისთვის რიგი პრობლემების გადაჭრა			

5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, თავისუფალი ინიციატივების განხორციელება			85.0
		დასაბრუნებელი 2.5%			0.0
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობის ინიციატივების დაკმაყოფილება პროგრამის შესაბამისად			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		განხორციელებული პროექტების რაოდენობა	15	18	მომართვიანობა

ე.გ) ქვეპროგრამა: მემორიალური დაფებისა და პანთეონის მოვლა – პატრონობა (პროგრამული კოდი 02 06 03)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	61.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების პატივსაცემად და მომავალი თაობებისთვის ისტორიული ინფორმაციის შესანარჩუნებლად დიდ აუცილებლობას წარმოადგენს მემორიალური დაფების მოწყობა – ექსპლოატაცია.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მემორიალური დაფების რეაბილიტირება და მოვლა – პატრონობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მემორიალური დაფების მოწყობა – რეაბილიტაცია			20.0
		დროშის დგარის მოწყობა			40.0
		დასაბრუნებელი 2,5%			1.0
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოვლილი და ექსპლოატირებული მემორიალური დაფები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოვლილი და რეაბილიტირებული მემორიალური დაფების რაოდენობა			

ე.დ) ქვეპროგრამა: მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 05)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	391.9			

3.	ქვეპროგრამის აღწერა	ხარისხის სტანდარტების უზრუნველსაყოფად შემსრულებელს შესრულებული სამუშაოების 2.5% უნაზღაურდება საბოლოო ჩაბარებიდან საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ინსპექტირების ჯგუფის, ან სპეციალური კომისიის მიერ, გამოვლენილი იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი, ან გარკვეული უხარისხობა, შემსრულებელ ორგანიზაციას თანხა არ უნაზღაურდება ნაკლოვანების აღმოფხვრამდე.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	საგარანტიო (2.5%) თანხების ანაზღაურება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ფასადების რეაბილიტაცია (ჭავჭავაძის გამზირის №22, №37, №28, №26, გუგუნავას ქუჩის №2, ნიკეას ქუჩის №1/5) (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულება)	311.5	16.4	
		ჭავჭავაძის გამზირის №24 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულება)	50.5	2.7	
		დასაბრუნებელი 2.5% (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულება)	10.3	0.5	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინფრასტრუქტურულ პროექტებში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მათი აღმოფხვრისათვის საჭირო არ გახდება დამატებითი სახსრების მობილიზება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მაღალი ხარისხის სტანდარტით განხორციელებული პროექტების რაოდენობა			

ე) ქვეპროგრამა: სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 06)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	147.8			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის მხატვრულ დონეზე გაფორმება, სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, სახალწლო ილუმინაციების მონტაჟი, ექსპლოატაცია და დემონტაჟი, სასცენო დეკორაციებით მომსახურება და სხვა.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სახალწლო დეკორაციების შექმნა	135.0		
		ფიერვერკის შექმნა	12.8		

6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ტექნიკურად უზრუნველყოფილი სადღესასწაულო ღონიძიებები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მორთული ლოკაციების რაოდენობა	15	20	

ე.ე) ქვეპროგრამა: შადრევან-აუზების ექსპლოატაცია – რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 07)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	420.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ეკოლოგიის, რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქალაქის შადრევან – აუზების ექსპლოატაცია – რეაბილიტაცია.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	შადრევან-აუზების გამართული ფუნქციონირება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	შადრევან-აუზების წყლის ხარჯი			100.0
		შადრევან-აუზების ელექტრო ენერჯის ხარჯი			151.8
		16 ერთეული შადრევან-აუზისა და წყლის ნიჟარების ექსპლოატაცია			168.2
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შეუფერხებლად ფუნქციონირებადი შადრევან-აუზები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ფუნქციონირებადი შადრევან – აუზების რაოდენობა	8	8	

ვ) პროგრამა: სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 02 09)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	767.9			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა – რეაბილიტაცია.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	სტიქიური მოვლენების პრევენცია			

5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის №2712 განკარგულება	26.5		
		საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №957 განკარგულება	123.6		
		დასაბრუნებელი 2,5% (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №957 განკარგულება)	8.3	6.1	
		დასაბრუნებელი 2,5% (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის №2529 განკარგულება)	7.2		
		საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №957 განკარგულება	24.6		
		საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №2367 განკარგულება	571.6		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალური და კერძო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება; სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურისა და ქონების აღდგენა			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	მიზნობრივი მაჩვენებელი	საბაზისო მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოწყობილი ან/და რეაბილიტირებული საყრდენი კედლების რაოდენობა	3	28	N/A

ზ) პროგრამა: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა (პროგრამული კოდი 02 10)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულები – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავებისა და საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურები			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	454.7			
3.	პროგრამის აღწერა	პროექტირების ეტაპზე ხდება საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადებს, ხარისხსა და სამშენებლო ობიექტის საბოლოო სახეს.			
4.	პროგრამის მიზანი	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შექმნა			
5.	პროგრამის ღონისძიებები	ინფრასტრუქტურული პროექტები		454.7	
6.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია			
7.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		შექმნილი პროექტების რაოდენობა	44	30	N/A

თ) პროგრამა: საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება
(პროგრამული კოდი 02 11)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულები – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავებისა და საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურები			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	668.0			
3.	პროგრამის აღწერა	საზედამხედველო სამუშაოების დაფინანსება ხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს შორის გაფორმებული 2017 წლის №343 ხელშეკრულებით განსაზღვრული ტარიფის შესაბამისად, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე.			
4.	პროგრამის მიზანი	სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა			
5.	პროგრამის ღონისძიებები	პროექტებსა და სამუშაოებზე ზედამხედველობა (საქართველოს მთავრობის 14 მარტის №480 განკარგულება)	18.0	650.0	
6.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხარისხიანი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები			
7.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		საგარანტიო ვადაში, ობიექტზე წარმოშობილი ხარვეზის შედეგად მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზიანი			

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00) პრიორიტეტის განხორციელებით საგრძნობლად გაუმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს მისი დასუფთავება, უპატრონო ცხოველებისაგან იზოლირება და ხეების გადაბეღვა, მცენარეთა ფიტოსანიტარული მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე საფარის მოვლა–პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა.

ა) პროგრამა: ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „სპეციალური სერვისები“		
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	4,800.0		
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქის ეკოლოგიური და უსაფრთხო მდგომარეობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად აუცილებელია ქუჩების დასუფთავება, ნარჩენების გატანა, ქუჩების მორწყვა–მორეცხვა, დეზინფექცია და დერატიზაცია. უხვნალექიანობის პერიოდში, ნალექების შეუფერხებლად გატარებისათვის სანიაღვრე სისტემის გაწმენდა და ექსპლოატაცია.		
4.	პროგრამის მიზანი	ქალაქის ეკოლოგიური და უსაფრთხო მდგომარეობის შენარჩუნება–გაუმჯობესება		

5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დაგვა – დასუფთავება	198.3		
		მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა, დასუფთავება, მორეცხვა და ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ქუჩების გაწმენდა	2,601.2		
		მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა	1,641.0		
		მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დერატიზაცია–დეზინფექცია	11.3		
		სანიაღვრე სისტემის გაწმენდა და ექსპლოატაცია	348.2		
6.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დასუფთავებული ტერიტორია, გატანილი ნარჩენი, მოწესრიგებული სანიაღვრე სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ნალექების შეუფერხებელ გატარებას			
7.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		გატანილი ნარჩენების რაოდენობა	145.0 ათ.მ ³	145.0 ათ.მ ³	
		დასუფთავებული ტერიტორიის რაოდენობა	2924.6 ათ.მ ²	2924.6 ათ.მ ²	
		სანიაღვრე ჭებისა და ცხურების რაოდენობა	2.0 ათ.ც.	2.0 ათ.ც.	
		ექსპლოატირებული სანიაღვრე სისტემა	38.0 ათ.მ.	38.0 ათ.მ.	

ბ) პროგრამა: მწვანე ნარგავების მოვლა–პატრონობა, განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „სპეციალური სერვისები“			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	971.2			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა–პატრონობა, კერძოდ, ხორციელდება ნარგავების მოვლა, ნიადაგის მომზადება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში მხამქიმოკატების შეტანა.			
4.	პროგრამის მიზანი	ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება			
5.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება			
6.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მწვანე საფართო განაშენიანების ფართობი			

ბ.ა) ქვეპროგრამა: ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	806.2			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ეკოლოგიური მდგომარეობისა და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქალაქის მორთვა სეზონური ყვავილებით, სკვერების დაგვა-დასუფთავება და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია.			
4.	პროგრამის მიზანი	ეკოლოგიურად სუფთა და ესთეტიური გარემოს შენარჩუნება-განვითარება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქის გამწვანება, მოვლა-პატრონობა და სკვერების კეთილმოწყობა	800.0		
		დასაბრუნებელი 2.5%	6.2		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოვლილი სკვერები და რეკრეაციული ტერიტორია			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოვლა-პატრონობაში არსებული სკვერების რაოდენობა	50	50	N/A

ბ.ბ) ქვეპროგრამა: ხე-მცენარეების გადაბეღვა (პროგრამული კოდი 03 02 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „სპეციალური სერვისები“			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	165.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ერთის მხრივ, მოსახლობის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია გამხმარი ხეების მოჭრისა და გადაბეღვის სამუშაოების წარმოება. მეორეს მხრივ, ჯანმრთელი ხეების გადაბეღვითი სამუშაოები ხელს უწყობს მათი სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება საშემე მერქანის დამზადება და სოციალურად დაუცველ ოჯახებზე დარიგება.			
4.	პროგრამის მიზანი	შექმნილი უსაფრთხო გარემო და შენარჩუნებული ხე-მცენარეები			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ხე-მცენარეების გადაბეღვა	165.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შექმნილი უსაფრთხო გარემო და შენარჩუნებული ხე-მცენარეები			

7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		გადაბედილი და გადაჭრილი ხეების რაოდენობა	550	350	

გ) ქვეპროგრამა: უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 04)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „სპეციალური სერვისები“			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	330.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქალაქის ტერიტორიაზე მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი პირუტყვის ყოფნის შემთხვევაში, მათი დაჭერა, იზოლაცია და თავშესაფარში გადაყვანა სათანადოდ მოწყობილი და აღჭურვილი ავტომობილით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად. თავშესაფარში პირუტყვის შემოწმება ვეტექიმთა ჯგუფის მიერ, საჭიროების შემთხვევაში გაუწევს, როგორც მედიკამენტოზურ, ასევე, ქირურგიულ მკურნალობას. უპატრონო ძაღლების აყვანა მოხდება თანამედროვე მალსაჭერით, უმტკივნეულოდ და სპეც. ა/მობილით. უპატრონო ძაღლები განთავსდება საკარანტინო ვოილერებში და განხორციელდება მათი აცრა ცოფზე, ამავდროულად ვეტერინართა ჯგუფის მიერ, გაეწევა ყველა საჭირო მკურნალობა სათანადო მედიკამენტებით. ლაბორატორიული დასკვნის საფუძველზე, ჯანმრთელ ძაღლებს ჩაუტარდებათ ვასტრაცია/სტერილიზაცია, რათა არ მოხდეს მათი გამრავლება. ნაოპერაციები ძაღლების სრული გამოჯანმრთელების შემდეგ, ვეტერინართა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, მოხდება ძაღლის დაბრკვა და გაშვება ქალაქის არეალში. ინტენსიურად ჩატარებული მკურნალობის გასვლის შემდეგ, ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებიდან გამომდინარე, გადაუდებელ შემთხვევაში ვეტექიმთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, განხორციელდება დაავადებული ცხოველის ევთანაზია. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალურ ტერიტორიაზე უპატრონო ძაღლების აყვანა განხორციელდება დღეში ორჯერ, ჩატარებული მონიტორინგისა და ცხელ ხაზზე შემოსული გამოძახების საფუძველზე.</p>			
4.	პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოხეტიალე ცხოველებისაგან სხვადასხვა ვირუსული დაავადებებისა და ცოფის გავრცელების პრევენცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	უპატრონო ცხოველების ოპერირება	330.0		
6.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პირუტყვების იზოლაცია და ოპერირება			
7.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		იზოლირებული და ოპერირებული ცხოველების რაოდენობა	2000	2000	

3. განათლება (ორგანიზაციული კოდი 04 00): საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს ქალაქის საგანმანათლებლო – სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, გენდერული საკითხებისა და მათთან დაკავშირებული პრობლემატიკის აღქმას, ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკის დანერგვას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათი

ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ურბანული კულტურის განვითარებას; პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა.

ა) პროგრამა: სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	10,850.0			
3.	პროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისის ბაგა - ბაღების გაერთიანება და მასში შემავალი ფილიალები წარმოადგენს სასწავლო – სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომლებიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით, რომლის მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას.			
4.	პროგრამის მიზანი	სკოლამდელი დაწესებულებების თანაბრად, ხელმისაწვდომობა და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება. უსაფრთხო და მიმზიდველი გარემოს შექმნა			
5.	პროგრამის ღონისძიებები	ადმინისტრაციის ფუნქციონირება		8,650.0	
		აღსაზრდელო კვება		1,900.0	
		მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება		300.0	
6.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სკოლისთვის მზაობა			
7.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ბაგა-ბაღების რაოდენობა	37	37	N/A
		აღსაზრდელო რაოდენობა	9760	10000	N/A

ბ) საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2,321.4
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ახალი ფლიგელების მშენებლობა, ასევე, №17 სპორტული სკოლის რეაბილიტაცია
4.	პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება

5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	№15 და №33 საბავშვო ბაღების მიშენებები	301.9	19.5	
		საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულება	2000.0	0.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსწავლეთა რაოდენობის ადექვატური მასშტაბის საკლასო სივრცეების შექმნა–განვითარება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		აშენებული / რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	0	2	N/A

გ) პროგრამა: განათლების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება		
2.	პროგრამის ბიუჯეტი	150.0		
3.	პროგრამის აღწერა	პროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, მოზარდთა შემეცნებით–საგანმანათლებლო ღონის ამაღლებას, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას, ქუთაისის განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისებასა და მოსწავლეთა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობას.		
4.	პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა		
5.	პროგრამის ღონისძიებები	საჯარო სკოლების მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალი (სპექტაკლების ჩვენება და გამარჯვებულების დაჯილდოება ნომინაციების მიხედვით) (მემორანდუმში)	10.0	
		ინტელექტუალური კონკურსი „რა? სად? როდის?“ მოსწავლეთათვის	3.0	
		მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა	10.0	
		ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქალაქო ღონისძიებები	10.0	
		საზაფხულო ბანაკის მოწყობა საჯარო სკოლების VIII–IX–X კლასების სოციალურად დაუცველ და წარმატებულ მოსწავლეთათვის, ორ ნაკადად, შავიზღვისპირეთის კურორტზე	16.0	
		საზაფხულო შემეცნებითი ბანაკი „მცირე აკადემია“ საჯარო სკოლების საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ინფორმატიკის ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლეებისათვის შავი ზღვისპირეთის კურორტზე	15.0	
		მედია – პროექტი „ეტალონი“	3.0	
		„SOS“ ბავშვთა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	7.0	
		შშმ პირი მოზარდების შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა	7.0	

		„თავისუფალი თემა“ – ბლოგების შექმნა, გამარჯვებული საჯარო და კერძო სკოლების გუნდების ფულადი დაჯილდოება.	3.0		
		ქართული ენის დღე – კალიგრაფიის კონკურსი, გამარჯვებულების ფულადი დაჯილდოება, საუკეთესო ხელნაწერების გამოფენის მოწყობა	3.0		
		ღვაწლმოსილ და წარმატებულ პედაგოგთა სამკერდე ნიშნით დაჯილდოება	3.0		
		მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი და წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება	18.0		
		მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქუთაისის მუზეუმების ღვაწლმოსილი და წარმატებული თანამშრომლების დაჯილდოება	4.0		
		ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების დასკვნით ტურსა და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეთა და მათი პედაგოგების დაჯილდოება	10.0		
		ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი კონცერტი	10.0		
		საერთაშორისო კონფერენციებზე, კონკურსებზე, კონგრესებზე, ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე ქუთაისელი პროფესორ – მასწავლებლების, სტუდენტთა და მოსწავლეთა დაფინანსება	13.0		
		გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	5.0		
6.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	წარმატებით განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტები			
7.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროექტების რაოდენობა			
		მონაწილეთა რაოდენობა			

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (ორგანიზაციული კოდი 05 00): ქალაქის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვასა და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პრიორიტეტის მიზანია, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენა, მათი საქმიანობის მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა. ევროპული ღირებულებების გაზიარება და ევროსაბჭოს, ევროპარლამენტისა და სხვა სტრუქტურებში საქმიანობის შესწავლა პრაქტიკის მიღების მიზნით.

ა) პროგრამა: სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	6,902.0			
3.	პროგრამის აღწერა	სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენების წახალისება.			
4.	პროგრამის მიზანი	სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა			
5.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა			
6.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები

ა.ა) ქვეპროგრამა: სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	3,935.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	სპორტული ფილიალების ფუნქციონირების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. გაერთიანება განაწილებულია 13 ფილიალად, რომელშიც წარმოდგენილია 38 სპორტის სახეობა. ყოველწლიურად თვალშისაცემია სხვადასხვა სახეობებში სპორტსმენების შედეგები, რაც ქალაქისათვის, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე, მნიშვნელოვან წარმატებებს განაპირობებს.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	სპორტული სკოლების გამართული ფუნქციონირება, შეჯიბრებებში და ტურნირებში მონაწილეობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	3,935.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გამართულად ფუნქციონირებადი სპორტული სკოლები, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები			

		ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები	4491	4600	
		სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებისა და ტურნირების რაოდენობა	974	1000	

ა.ბ) ქვეპროგრამა: კალათბურთის განვითარება (პროგრამული კოდი 05 01 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1,000.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	კალათბურთის გუნდის ფუნქციონირების ხელშეწყობა, ქვეყნის ჩემპიონატისა და სხვადასხვა სახელობის ტურნირებზე მონაწილეობის მიღება, ახალგაზრდული გუნდის ხელშეწყობა.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	შპს „საკალათბურთო კლუბი „ქუთაისის 2010-ის“ ფუნქციონირების ხელშეწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	კალათბურთის განვითარება	1,000.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გამართულად ფუნქციონირებადი საკალათბურთე კლუბი			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა			

ა.გ) ქვეპროგრამა: ხელბურთის განვითარება (პროგრამული კოდი 05 01 03)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015“			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	200.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	საწვრთნელი-სავარჯიშო შეკრებები, სპორტსმენთა კვალიფიკაციის ამაღლება, ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე ასპარეზობა, კლუბის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ააიპ „ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015-ის“ ფუნქციონირების ხელშეწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ხელბურთის განვითარება	200.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გამართულად ფუნქციონირებადი ხელბურთის კლუბი			

7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა			

ა.დ) ქვეპროგრამა: ქალთა ფეხბურთის განვითარება (პროგრამული კოდი 05 01 04)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	150.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	საწვრთნელი-სავარჯიშო შეკრებები, სპორტსმენთა კვალიფიკაციის ამაღლება, ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე ასპარეზობა.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	შპს „საფეხბურთო კლუბი „ქუთაისის მართვეს“ ფუნქციონირების ხელშეწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ფეხბურთის განვითარება	150.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გამართულად ფუნქციონირებადი საფეხბურთო კლუბი			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა			

ა.ე) ქვეპროგრამა: რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 05)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	250.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალურ შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას (ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	სტადიონის გამართული ფუნქციონირება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	რამაზ შენგელიას სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა	250.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ სპორტულ ღონისძიებებს			

7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა			

ა.ე) ქვეპროგრამა: სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 09)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი		962.0		
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ასევე, მოხდება წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ვეტერანი და დამსახურებული სპორტსმენების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	სპორტის სხვადასხვა სახეობების წახალისება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, გ.ჩიქოვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში		10.0	
		მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, თეიმურაზ აფხაზავას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში		6.0	
		საქალაქო ღონისძიებები შშმ სპორტსმენთა შორის (ფასიანი საჩუქრების შექმნა) (მკლავჭიდი, წოლმჭიმი, ნარდი)		6.5	
		საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, გივი სარდანაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში		5.0	
		საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის, თ.არჩაიას ხსოვნისათვის მიძღვნილი ტურნირი ბალახის ჰოკეიში		3.0	
		კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში		6.0	
		ალპინანდა დამწყებ და პროფესიონალ მთამსვლელთათვის		5.0	
		გელა დარსაძის სახელობის ტურნირი კალათბურთში		6.0	
		ტურნირი ფრენბურთში გოგონათა და ვაჟებს შორის		7.0	
		ქეთევან ლოსაბერიძის სახელობის თასი შშვილდოსნობაში		5.0	
		მსოფლიო ჩემპიონის, დიტო შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძალოსნობაში		3.0	
		საერთაშორისო პირველობა კარატეში		5.0	

		სასკოლო სპორტული ოლიმპიადა	20.0
		ავტორალი პროფესიონალ და მოყვარულ მრბოლელთა მონაწილეობით	5.0
		ევროპის ორგზის ჩემპიონის, აკაკი კობორძაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიულდოში	8.0
		დავით ჩირაძის მემორიალი ჭადრაკში გოგონათა და ჭაბუკთა შორის (გუნდური პირველობა)	5.0
		სასკოლო პირველობა წყალბურთში	5.0
		ქორქია – საკანდელიძის სახელობის თასის ტურნირი	30.0
		ზ.შეყრილაძისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, მ.დობტურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში	8.0
		მსოფლიო ჩემპიონის, აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კრივში	10.0
		მაია ჩიბურდანიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში (მემორანდუმი)	25.0
		სპორტული კვირეული – მასობრივი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში (მარათონი, ტურნირი მინი ფეხბურთი ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის)	8.0
		წლის წარმატებული სპორტსმენების საზეიმო მიღება	8.0
		წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენების სტიპენდია	64.5
		ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდია	36.0
		ქუთაისელი ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფულადი ჯილდოს გაცემა	10.0
		საქართველოს ჩემპიონის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებული (პრიზიორი) სპორტსმენების, გამარჯვებული ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელთა ფულადი ჯილდოს გაცემა	60.0
		რაგბის ხელშეწყობა (ააიპ „სარაგბო კლუბი „აია“ – 450,0 ათასი ლარი, რაგბის კლუბი „არესი“ – 50.0 ათასი ლარი, საეკლესიო კლუბი „ბაგრატი“ – 50.0 ათასი ლარი) (მემორანდუმი)	550.0
		ააიპ „ქუთაისის ოლიმპიური კომიტეტი“ (მემორანდუმი)	7.0
		სპორტული ღონისძიებებისთვის სასტუმროსა და კვებითი მომსახურება (სასტუმრო 4.0, კვება 1,0)	5.0
		ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია	10.0
		გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	20.0

6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წარმატებით ჩატარებული ადგილობრივი და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა			
		მონაწილეთა რაოდენობა			

ა.ზ) ქვეპროგრამა: სხვადასხვა სახეობის სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა – რეაბილიტაცია – ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 05 01 10)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	405.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში არსებული, ჯერ კიდევ, წლების წინ მოწყობილი სპორტული „ტრენაჟორები“ და ატრაქციონები, რომელთაც შემოღობვა, სათამაშო ზედაპირი და სხვა შემადგენელი ნაწილები დაზიანებული აქვს, საჭიროებს აუცილებელ რეაბილიტაციას, ადამიანებისათვის უსაფრთხო და დაცული გამაჯანსაღებელი გარემოს შესაქმნელად. აღნიშნული პროგრამის განვითარება ხელს შეუწყობს ქალაქ ქუთაისში, სკოლამდელი და დაწყებითი კლასების ბავშვებისათვის კომფორტული გასართობი და დასასვენებელი ადგილების შექმნას.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების განთავსება, სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების რეაბილიტაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ძელსკამების შეძენა–მონტაჟი, რეაბილიტაცია – ექსპლოატაცია	0.0	70.0	
		ატრაქციონებისა და სპორტული „ტრენაჟორების“ რეაბილიტაცია – ექსპლოატაცია	0.0	81.3	
		მეკლდეურთა ცოცვის ხელოვნური კედლის მოწყობა	0.0	200.0	
		დასაბრუნებელი 2.5% (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულება)	5.5	48.2	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებული სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების რაოდენობა	450	450	

ბ) პროგრამა: კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	6,700.0			
3.	პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები. ასევე, მოხდეს ი.ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლისა და კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა.			
4.	პროგრამის მიზანი	სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება			
6.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კულტურული ცხოვრების წესის პროპაგანდა			
7.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა			

ბ.ა) ქვეპროგრამა: კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	4150.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში, კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით – საგანმანათლებლო დონის ამადლებას, გაერთიანებაში შემაჯავებელი ფილიალების მუშაობის გააქტიურებას.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელშეწყობა, ქართული კულტურის პოპულარიზაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ადმინისტრაციის ფუნქციონირება			4150.0
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კულტურულ – სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებების გამართულად ფუნქციონირება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		დაწესებულებების რაოდენობა	18	18	N/A
		აღსაზრდელო რაოდენობა	3442	3800	N/A
		ვიზიტორთა რაოდენობა	70000	80000	N/A

ბ.ბ) ქვეპროგრამა: ი.ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქალაქ ქუთაისის ი.ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა“			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	830.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა და ფილიალები წარმოადგენს მიმზიდველ, საინტერესო და ხელმისაწვდომ ადგილს საზოგადოებრივი თავშეყრისათვის, სადაც მოსახლეობა იღებს განათლებას, ინფორმაციას და ხელს უწყობს განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მკითხველისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი თავშეყრის კერების შექმნა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ადმინისტრაციული ხარჯი	752.0		
		წიგნადი და პერიოდულ გამოცემათა ფონდების შევსება უახლესი ლიტერატურით	45.0		
		ინვენტარის განახლება	26.0		
		ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის, სამეცნიერო ჟურნალისა და სხვა ბეჭდვითი მომსახურებები	4.0		
		საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სხვადასხვა სახის კონკურსების, გამოფენებისა და წიგნების პრეზენტაციების მოწყობა	3.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მკითხველისათვის შექმნილი კომფორტული გარემო			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		გაცივრებული წიგნების რაოდენობა	337	537	
		ელექტრონულ კატალოგში ასახული წიგნების რაოდენობა	145000	205000	
		სტუმართა რაოდენობა	10500	11000	

ბ.გ) ქვეპროგრამა: ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქალაქ ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრი – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	850.0
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ააიპ „ქალაქ ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრი – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ წარმოადგენს დაწესებულებას, სადაც ხდება ხალხური შემოქმედების შენარჩუნება და განვითარება, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოპოვება და პოპულარიზაცია.

4.	ქვეპროგრამის მიზანი	ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო (პროფესიული) ანსამბლისა და ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლების მუშაობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ააიპ „ქალაქ ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრი – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“	850.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის პოპულარიზაცია			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		საზღვარგარეთ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	25	29	
		ქვეყნის შიგნით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	24	28	

ბ.დ) ქვეპროგრამა: კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 06)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული – კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	870.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის მასშტაბით წლის მანძილზე ხორციელდება სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები, საერთაშორისო კულტურული აქტივობები, კულტურული დღეები, გაცვლითი გასტროლები, გამოფენები, კონკურსები და ფორუმები, ასევე, სხვადასხვა ლიტერატურული ნაშრომების გამოცემა და ქუთაისში მცხოვრები ნიჭიერი შემოქმედების მხარდაჭერა.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ქალაქის კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ჟურნალ „მწვანეყვავილას“ გამოცემა	13.0		
		ჟურნალ „განთიადის“ გამოცემა	45.0		
		ჟურნალ „თეატრალური ქუთაისის“ გამოცემა	3.0		
		გაზეთ „უქიმერიონის“ გამოცემა	10.5		
		ქუთაისელი მწერლების, მხატვრებისა და მსახიობების საიუბილეო პროგრამა	20.0		
		მხატვართა მხარდაჭერის პროგრამა	35.0		
		„დავითობის“ დღესასწაული	5.0		
		საგალობლების ფესტივალი	10.0		

	საკონცერტო ღონისძიებები და ფესტივალები	50.0
	პროექტი „კაკაბაძეები“ (ემღვნება დ. კაკაბაძის ხსოვნას)	10.0
	ნუმიზმატიკური ნიმუშების გამოფენა	5.0
	თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული	20.0
	ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული	7.0
	ქალაქობის დღესასწაული „ორმაისობა“ (კვირეული)	80.0
	პროექტი „უქმეები ძველ უბანში“	20.0
	ფოტო – კონკურსი „ილო“	5.0
	26 მაისი „გიორგობის“ დღესასწაული	15.0
	საახალწლო ღონისძიებები	65.0
	კულტურული ღონისძიებისათვის საჭირო სხვადასხვა პოლიგრაფიული ნაწარმის (ბუკლეტები, აფიშები, ბანერები, მოსაწვევები, პროგრამები და სხვა) გამოცემა	10.0
	ლ.მესხიშვილის სახელობის პროფესიული დრამატული და მ.ბალანჩივას სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრების იჯარა წლის განმავლობაში	60.0
	გახმოვანების აპარატურით მომსახურება	40.0
	ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დაფინანსება (მემორანდუმი)	80.0
	ქუთაისელი საქართველოს დამსახურებული არტისტებისა და ქურუმის სტიპენდია (სტიპენდია არ გაიცემა იმ ხელოვნების ქურუმის წოდების მქონე პიროვნებაზე, რომელიც არ არის რეგისტრირებული ქალაქ ქუთაისში)	46.0
	სპორტული – სამეჯლისო ცეკვების ღია რეიტინგული შეჯიბრი	3.0
	ქუთაისის თეატრების ფუნქციონირებისათვის მხარდაჭერა	130.0
	„ჩვენ ყველანი ერთი ვართ“ „SOS“ ბავშვთა სოფლის, სოციალურად დაუცველი და შშმ პირებისათვის	7.0

		სტუმართა კვებითი და სასტუმრო მომსახურება	10.0		
		ქუთაის-გაენათის ეპარქია	45.0		
		გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ხარჯები	20.5		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქალაქის გამრავალფეროვნებული კულტურული ცხოვრება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	50	60	ხელისშემშლელი ბუნებრივი პირობები
		მყურებელთა რაოდენობა	35000	40000	

გ) ქვეპროგრამა: ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება	
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	197.0	
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.	
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა	
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ახალგაზრდა ლიდერთა ზამთრის სკოლა	25.0
		ახალგაზრდა ლიდერთა საზაფხულო სკოლა	20.0
		გაეროს მოდელირება (მემორანდუმი)	20.0
		ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	110.0
		სოციალურად დაუცველი და შშმ ახალგაზრდების დახმარება და საზოგადოებაში ინტეგრაცია	5.0
		გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	2.0
		საერთაშორისო პროექტებში, კონკურსებსა და ფესტივალებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობა	10.0
წლის შემაჯამებელი ღონისძიება	5.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წარმატებულად განხორციელებული ახალგაზრდული პროექტები	

7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები

5. **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (ორგანიზაციული კოდი 06 00):** მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შედავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ, მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ასევე, მნიშვნელოვანია ქალაქში რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრისის შექმნა და ამ მხრივ სოციალური ფონის გაუმჯობესება.

ა) პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1,272.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება, დაავადებული გადახდისუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევა, მათში ყველაზე გავრცელებული დაავადებების დროულად გამოსავლენად, ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა.			
4.	პროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა ბენეფიციარებისათვის			
6.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა			

ა.ა) ქვეპროგრამა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნა (პროგრამული კოდი 06 01 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქალაქ ქუთაისში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	210.0

3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქუთაისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „C“ ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება, სამიშ დაავადებათა პრევენცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნა	210.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება			
7.	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		გადამდებ დაავადებათა შემთხვევების რაოდენობა	3590	2500	დაავადებათა ახალი შტამების გაჩენა
		ჩატარებული აცრების რაოდენობა			

ა.ბ) ქვეპროგრამა: მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	230.0
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამით ისარგებლებენ: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 65000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები; ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები; ომისა და სამხედრო ძალების შშმ პირები, ვეტერანები, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირებს, ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები და ადრეული ბუძუს აგრესიული „HER-2“ რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირები. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 65000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე და ნათესაურ/ არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ პირებისათვის დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 150 ლარისა. ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები დახმარებით ისარგებლებენ ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით. ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირებს, დახმარებით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ 200 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირი. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაიცემა საგარანტიო წერილის საშუალებით. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მოკვლევის საფუძველზე, დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. ბენეფიციარი, დახმარების მიღების მიზნით, განცხადებასთან ერთად წარმოადგენს საჭირო დოკუმენტაციას: სოციალურად დაუცველი (65000–მდე სარეიტინგო ქულა) პირები წარმოადგენს:</p>

		<p>პირადობის დამადასტურებელ საბუთს, ფორმა №100–ს სამედიცინო დაწესებულებიდან, ანგარიშგაქტურას ავთიაქიდან და სოციალური მომსახურების სააგენტოდან – ამონაწერს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვების შემთხვევაში, დახმარების მიზნად განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანთა რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, შშმ ბავშვის მინდობით აღზრდაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფორმა 100 სამედიცინო დაწესებულებიდან და ანგარიშგაქტურა ავთიაქიდან. ომისა და სამხედრო ძალების შშმ პირებზე, ვეტერანებზე, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი, ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირებს, დახმარება გაიცემა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მომართვის საფუძველზე, შემდეგი თანდართული დოკუმენტაციის შემთხვევაში: პაციენტის პირადობის მოწმობის ასლი, შშმ პირის დამადასტურებელი საბუთი, ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, შვილების დაბადების მოწმობის ასლები, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან და ანგარიშგაქტურა ავთიაქიდან. ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები წარმოადგენენ პირადობის დამადასტურებელ საბუთს, ანგარიშგაქტურას ავთიაქიდან და ფორმა №100-ს სამედიცინო დაწესებულებიდან. ძუძუს კიბოს ჰერცეპტინით მკურნალობის შემთხვევაში, პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ადრეული ძუძუს აგრესიული „HER-2“ რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირები, რომლებიც სარგებლობენ რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით. დახმარების მიზნად განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რეფერალული კომისიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი, ანგარიშგაქტურა ავთიაქიდან. დახმარების მიღება განხორციელდება ბენეფიციარის არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე საგარანტიო წერილის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება თითოეულ ბენეფიციარზე ინდივიდუალურად, რეფერალური კომისიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის მიხედვით, წლიურად, არაუმეტეს 2000 ლარისა.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანებზე, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი, ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირებს		40.0	
		ადრეული ძუძუს აგრესიული „HER-2“ რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მედიკამენტებით (ტრანსტუზუმაბი) თანადაფინანსებაში დახმარება		20.0	
		სხვა ბენეფიციარებზე მედიკამენტებით უზრუნველყოფა		170.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მედიკამენტების ხელმისაწვდომობა			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	950	1000	არამომართვიანობა

ა.გ) ქვეპროგრამა: სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	750.0

<p>3.</p>	<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირებისათვის სამედიცინო მომსახურების, როგორც დიაგნოსტიკის, ასევე, შემდგომი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, მკვეთად, ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირები, მარტოხელა მშობლები და მათი შვილები, „მრავალშვიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები, საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა საზოგადოება „მემორიალის“ ოჯახის წევრები, რომლებიც არ წარმოადგენენ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის 100% დაფინანსებით მოსარგებლებს. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 1000 ლარისა, გამონაკლისს წარმოადგენს კარდიოლოგიური ავადმყოფები მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა პირი ზემოაღნიშნულ პრიორიტეტულ ჯგუფს, რომლებიც დახმარებით ისარგებლებენ არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე, თანაგადახდის პრინციპით, არაუმეტეს 1000 ლარისა. რადიოლოგიური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შემთხვევაში დახმარება გაიცემა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზე და კარდიოლოგიურ პაციენტებზე. ყველა სხვა შემთხვევაში დახმარების საკითხი განიხილება და გადაწყდება დაავადების სიმძიმის, მკურნალობის მეთოდის, ღირებულების, ბენეფიციარის მატერიალური მდგომარეობის მოკვლევის საფუძველზე და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ანგარიშგაქტურა, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების შემთხვევაში ბენეფიციარის სტაციონარიდან გამოწერამდე მისი უფლებამოსილი პირი წარმოადგენს ბენეფიციარის პირადობის მოწმობას, მიმდინარე ფორმა N100-ს და წინასწარ ანგარიშგაქტურას. დაფინანსების შემთხვევაში მომსახურების გამწევი დაწესებულება წარმოადგენს გაწეული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვას. ლიმიტს ზევით დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე. ანალოგიური წესით განიხილება ყველა სხვა შემთხვევაში დახმარების საკითხი. ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით მოსარგებლე პირები. დახმარება გაიცემა არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე, როგორც მკურნალობის, ასევე, დიაგნოსტიკის შემთხვევაში, არაუმეტეს 1500 ლარისა. მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ანგარიშგაქტურა, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ლიმიტს ზევით დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე. „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ხელშეწყობის მიზნით „C“ ჰეპატიტით დაავადებული, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისათვის, სამკურნალო ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პერიოდში, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მონიტორინგის ღირებულების 30% თანადაფინანსება. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს „C“ ჰეპატიტით დაავადებული, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები, რომლებიც ჩართული არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C“ ჰეპატიტის მართვის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე, სახელმწიფო პროგრამის „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის კომპონენტში. განსაზღვრული მომსახურება ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს დიაგნოსტიკური ჯგუფისათვის დადგენილი ღირებულების 30%-სა. პროგრამით მოსარგებლე პირებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ფორმა №100, ანგარიშგაქტურა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი. საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე.</p>
<p>4.</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანი</p>	<p>ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა</p>

5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სამედიცინო მომსახურება		500.0	
		„C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევები		20.0	
		ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულის პირების სამედიცინო მომსახურება		230.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2381	3000	არამომართვიანობა

ა.დ) ქვეპროგრამა: ეპილევსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 04)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	70.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ეპილევსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა. პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილევსიით დაავადებული პირები. დახმარების მიღება მოხდება ვაუჩერისა და დანართის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება ყოველთვიურად, თითოეულ ბენეფიციარზე ინდივიდუალურად, ფორმა №100–ის მიხედვით, არაუმეტეს 50 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით, ამასთან, თითოეულ ბენეფიციარზე მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, დახმარება გაიცემა სამ თვეში ერთხელ და შესაბამისად, დახმარების მიღება განხორციელდება არაუმეტეს 150 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით. ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ფორმა №100 და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ლიმიტსხემოთ დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ, დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების შესწავლის საფუძველზე, გამონაკლის შემთხვევაში.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მედიკამენტებით დახმარება	70.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მედიკამენტების ხელმისაწვდომობა			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	180	190	არამომართვიანობა

ა.ე) ქვეპროგრამა: ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 05)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური		
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	12.0		

3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით დაავადებული პირების დახმარება. პროგრამით მოსარგებლე არასრულწლოვან პირებს დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ხოლო სრულწლოვან პირებს პირადი განცხადების მომართვის საფუძველზე, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 100 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად საჭიროა ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, არასრულწლოვანის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ფორმა N100 და ანგარიშის რეკვიზიტი ბანკიდან.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების ხელშეწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება	12.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელმისაწვდომი სპეციფიკური საკვები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	5	10	არამომართვიანობა

ბ) პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	3,828.5			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.			
4.	პროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა ბენეფიციარებისათვის			
6.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა			

ბ.ა) ქვეპროგრამა: სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	50.0			

3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩის №1 და №3-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა საცხოვრისის გამართული ფუნქციონირება.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩის №1 და №3-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტროენერჯისა (თითოეულ ოჯახს თვეში არაუმეტეს 60 ლარი) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით	50.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფილი საცხოვრისი			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	14	14	

ბ.ბ) ქვეპროგრამა: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1,000.0
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქის დემოგრაფიული პირობების გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია მრავალშვილიანი ოჯახების წახალისება და დახმარება.
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0–დან 70 000–მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე გაეწევათ მატერიალური დახმარება თვეში 40 (ორმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება თითოეულ არასრულწლოვან შვილზე თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით. სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახის ორივე მშობელი რეგისტრირებული და მცხოვრები იყოს ქალაქ ქუთაისში დახმარების დანიშვნამდე არანაკლებ ერთი წლისა. მრავალშვილიან ოჯახებს დახმარება დაენიშნებათ განცხადებით მიმართვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში, არასრულწლოვან ბავშვს დახმარება შეუწყდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარებით ვერ ისარგებლებს არასრულწლოვანი ბავშვი, თუ ის იმყოფება სახელმწიფო კმაცოფაზე. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 5 (ხუთი) და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არის 18 (თვრამეტ) წლამდე არასრულწლოვანი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად, კერძოდ, 5 (ხუთი) შვილიან ოჯახს – 500 ლარის ოდენობით, 6 (ექვსი), 7 (შვიდი) და 8 (რვა) შვილიან ოჯახს დახმარება გაეწევა – 700 ლარის ოდენობით, 9 (ცხრა) და მეტი შვილიანი ოჯახის დახმარება შეადგენს 1000 ლარს. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც 2019 წელს შეეძინებათ მე-4, მე-5 და შემდეგი შვილი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად. მე-4 შვილის შეძენისას დახმარება გაეწევა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, მე-5 შვილის შეძენისას – 1100 (ათასასი) ლარის ოდენობით, მე-6 შვილის შეძენისას – 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით, მე-7 შვილის შეძენისას – 1300 (ათასამასი) ლარის ოდენობით, მე-8, მე-9 და ა.შ. შვილის შეძენისას – 1400 (ათასოთხასი) ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების, ან არსებულის გაფართოება–გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება / თანადაფინანსების სახით. მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებს 20 ლარის ოდენობით ელექტროენერჯის თანადაფინანსებას

5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0–დან 70000–მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე, მატერიალური დახმარების გაწევა			270.0
		მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი, სხვა დანარჩენ შემთხვევაში თითოეულ არასრულწლოვან შვილზე, მატერიალური დახმარების გაწევა			480.0
		მე-4, მე-5 და შემდეგი შვილის შექმნისას მატერიალური დახმარების გაწევა			90.0
		მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 5 (ხუთი) და მეტი შვილი და მათგან ერთი მაინც არის 18 (თვრამეტ) წლამდე არასრულწლოვანი, მატერიალური დახმარება გაეწევა ერთჯერადად			70.0
		მრავალშვილიანი ოჯახების მიერ, მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების, ან არსებულის გაფართოება – გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების სახით			30.0
		მრავალშვილიანი ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებენ 20 ლარის ოდენობით ელექტროენერგიის თანადაფინანსებას			60.0
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	548	570	არამომართვიანობა

ბ.გ) ქვეპროგრამა: სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	20.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ემსახურება საქართველოს კანონებით: „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებას. განიხილება ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯების გაწევაში დახმარების საკითხი. დახმარებისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს: ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების ცნობა, დასაფლავების ხარჯის გამლეტი პირის განცხადება და პირადობის მოწმობა, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია. გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის გამლეტი პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	გარდაცვლილი ვეტერანის პატივგება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სარიტუალო დახმარება			20.0

6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სარიტუალო პროცესი			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	18	N/A	არამომართვიანობა

ბ.დ) ქვეპროგრამა: სოციალური ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 04)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	316.7			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები, გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარების სამკურნალო – სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა შავი ზღვის კურორტზე (მაგნიტური ქვიშა) სამკურნალო – სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა (სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში). განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, დახმარების საკითხი გადაწყდება დამატებითი არგუმენტებისა (ექიმის რეკომენდაცია) და გარემოებების გათვალისწინებით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	I იანვარს, ქალაქ ქუთაისში დაბადებული ახალშობილების მშობლების (ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები) მატერიალური დახმარება. თანხა განაწილდება პროპორციული წესით	5.0		
		15 თებერვალს, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის წლისთავთან დაკავშირებით, ავღანეთის ომის ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება (თანხა განაწილდება პროპორციული წესით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და ვეტერანის მოწმობების ქსეროასლები)	6.0		
		26 აპრილს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარება (თანხა განაწილდება პროპორციული წესით, დასავლეთ საქართველოს ჩერნობილელ ინვალიდთა კავშირის მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და ვეტერანის მოწმობების ქსეროასლები)	10.5		
		9 მაისს, ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად (მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და ვეტერანის მოწმობების ქსეროასლები), თითოეულს არაუმეტეს 1000 ლარისა	25.0		

		ადღომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ბენეფიციარების დასაჩუქრება სასურსათო ნობათებით	60.0		
		საზაფხულო დასვენების მოწყობა შავი ზღვის კურორტზე (მაგნიტური ქვიშა) 3–18 წლის შშმ პირებისათვის, მათი მომვლელებისათვის და 18 წელს ზემოთ შშმ პირებთან მომუშავე ორგანიზაციის ბენეფიციარებისათვის (საჭიროების შემთხვევაში ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მომვლელი), რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150000–ს	105.0		
		2008 წლის 8 აგვისტოს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები დაღუპული მეომრების ოჯახების მატერიალური დახმარება. დაღუპული მეომრის ოჯახის წევრის ინდივიდუალური მომართვის საფუძველზე ოჯახს, ერთჯერადად მიეცემა მატერიალური დახმარება 1000 ლარის ოდენობით	9.0		
		17 ოქტომბერს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით, ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება (თანხა განაწილდება პროპორციული წესით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, შშმ პირების სტატუსის, პირადობისა და ვეტერანის მოწმობების ქსეროასლები)	10.2		
		ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარების დასაჩუქრება სასურსათო ნობათებით	60.0		
		„წითელი ჯვრის“ ქუთაისის ორგანიზაციის მხარდაჭერა	15.0		
		ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების ფარგლებში გვირგვინებისა და თაიგულების შექმნა	1.0		
		ვეტერანთა ქუთაისის საქალაქო კავშირის ხარჯი	2.0		
		„ჯანმრთელი დედები – ჯანმრთელი მომავალი“	3.0		
		100 და მეტი წლის ბენეფიციარების მატერიალური დახმარება, თითოეულს 1000 ლარი	5.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	5606	5700	არამომართვიანობა

ბ.ე) ქვეპროგრამა: სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 05)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	200.0

3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. პროგრამა ითვალისწინებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მოხმარებული ელექტროენერჯისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების თანადაფინანსებას. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 0-70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, დახმარებით მოსარგებლე ოჯახებს მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება აუნაზღაურდებათ შემდეგი პრინციპით: ერთწევრიან და ორწევრიან ოჯახებს 48 ლარი, სამ, ოთხ და ხუთწევრიან ოჯახებს – 72 ლარი, ექვს და შვიდწევრიან ოჯახებს – 96 ლარი, რვა და მეტ წევრიან ოჯახებს – 120 ლარი. თანხები გადანაწილდება თვეების მიხედვით პროპორციულად. თანხა აუნაზღაურდებათ მხოლოდ ინდივიდუალური მრიცხველების მქონე ბენეფიციარებს. ელექტრო ენერჯის ღირებულების ანაზღაურება მოხდება სადისტრიბუციო კომპანიის („ენერჯო-პროჯორჯიას“) ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 0-70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, დახმარებით მოსარგებლე ოჯახებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულება აუნაზღაურდებათ სულზე 0.5 (ორმოცდაათი) თეთრი. თანხა ანაზღაურდება აბონენტის ნომრის მიხედვით. ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე. სსიპ სოციალური სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში ელექტროენერჯის აბონენტის ნომრის არარსებობის შემთხვევაში, ბენეფიციართა აბონენტის ნომრების იდენტიფიცირება მოხდება მოქალაქის (ბენეფიციარის) განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, სადისტრიბუციო კომპანიის „ენერჯო-პროჯორჯიას“ მიერ გაცემული აბონენტის ნომერი (ქვითარი), სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ბენეფიციართა რაოდენობა დაუზუსტებელია და დაზუსტდება პროგრამის მიმდინარეობისას.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა საყოფაცხოვრებო ყოფითი პირობების გაუმჯობესება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	<p>სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების თანადაფინანსება</p>	180.0		
		<p>სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების თანადაფინანსება</p>	20.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	<p>ინდიკატორის დასახელება</p> <p>მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა</p>	<p>საბაზისო მაჩვენებელი</p> <p>3268</p>	<p>მიზნობრივი მაჩვენებელი</p> <p>2700</p>	<p>შესაძლო რისკები</p> <p>არამომართვიანობა</p>

ბ.ვ) ქვეპროგრამა: განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა (პროგრამული კოდი 06 02 06)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	152.0

<p>3.</p>	<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირებს, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და ვერ იქნენ რეინტეგრირებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებიდან, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებიდან, ან შვილად აყვანილი, მათთვის დამოუკიდებლად ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ფინანსური დახმარების გაწევა, სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების, მიტოვების რისკების პრევენციისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად და ასევე, სახელმწიფო მზრუნველობიდან რეინტეგრირებული ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით, მატერიალური დახმარების გაწევა; ჰემოდიალიზზე მყოფი პირების (პაციენტების), მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი: ბავშვთა დაწესებულების (ფილიალების) ყოფილი აღსაზრდელები, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებიდან გამოსული პირები, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და აქვთ ამ ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროება, ოჯახები, რომელთა წევრთა შემადგენლობიდან სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულია, ან რეინტეგრირებულია ერთი, ან მეტი ბავშვი და აქვთ ამ პროგრამაში ჩართვის საჭიროება, ჰემოდიალიზზე მყოფი პირები (პაციენტები), რომელთაც აქვთ ამ ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროება. ქვეპროგრამის პირველი და მეორე პუნქტის სამიზნე ჯგუფის პირთა იდენტიფიცირება განხორციელდება კომპიუტერული ორგანოს (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს) მიერ გაცემული დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული იქნება პირის სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებისა და ვადების შესახებ, დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს კომპიუტერული ორგანოს მიერ დადგენილი წესით შემუშავებული და გაცემული დასკვნა–რეკომენდაცია ქვეპროგრამაში 18 წელს მიღწეული პირის, ან ოჯახის ჩართვის საჭიროების შესახებ. ქვეპროგრამის სამიზნე პირველ პუნქტში მითითებულ პირთა წრის დახმარება განსაზღვრულია თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. დახმარების მიღების უფლება წარმოემართა სრულწლოვანების მიღწევის მომდევნო თვიდან მიმდინარე საბიუჯეტო წლის დასასრულამდე. ბენეფიციარს დახმარება დაენიშნება მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ფინანსური დახმარება გაიცემა პროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, თითოეულ ბენეფიციარზე ჯამში არაუმეტეს 12 თვისა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის მეორე პუნქტში მითითებულ ოჯახებს დახმარება გაეწევათ თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. მატერიალური დახმარება მიეცემა, ქალაქ ქუთაისში რეესტრირებულ და იმავდროულად, ფაქტობრივად მცხოვრებ ოჯახს/პირს, რომელსაც 2019 წლამდე მოპოვებული აქვს და არ აქვს შეწყვეტილი რეინტეგრაციის შემწეობის მიღების უფლება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად და ასევე, 2019 წლის განმავლობაში მოიპოვეს ამ უფლებას. დახმარების გაცემის ვადა განისაზღვრება რეინტეგრაციის მოქმედების ვადით. ბენეფიციარებს დახმარების მისაღებად უფლება წარმოემართა, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. პროგრამაში ჩართული ოჯახები მატერიალური დახმარებით დაკმაყოფილებიან რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამით მომსახურების ვადის დასრულებამდე 2019 წლის საბიუჯეტო წლის განმავლობაში. გამონაკლის შემთხვევაში, მატერიალური დახმარება შესაძლებელია, დასკვნა – რეკომენდაციის საფუძველზე გაიცეს ბავშვის ჰემოდიალიზი ინტერესიდან გამომდინარე, მისი ოჯახში დაბრუნებამდე ერთი თვით ადრე. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის მესამე პუნქტში მითითებულ ჰემოდიალიზზე მყოფ პირებს დახმარება გაეწევათ თვეში ერთხელ 100 (ასი) ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა ბენეფიციარის განცხადებით მომართვიდან, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილე ბენეფიციარები რეესტრირებული (მცხოვრები) უნდა იყვნენ ქალაქ ქუთაისში. ბენეფიციარებმა განცხადებასთან და პირადობის დამადასტურებელ მოწმობის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე. ჰემოდიალიზზე მყოფმა პაციენტმა ცნობა – სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა N100). პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მომსახურება შეუწყდებათ: პირადი განცხადების, გარდაცვალების, საცხოვრებლად სხვა რაიონში გადასვლისა და პროგრამით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში.</p>
<p>4.</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანი</p>	<p>პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა</p>

5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) 18 (თვრამეტი) წლის ბენეფიციარის, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ და სრულწლოვანების გამო შეუწყდა მომსახურება, მატერიალური დახმარება	12.0		
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) ჰემოდალიზზე მყოფი ბენეფიციარების მატერიალური დახმარება	104.0		
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და იმავდროულად ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახის/პირის მატერიალური დახმარება, რომელსაც 2019 წლამდე მოპოვებული აქვს და არ აქვს შეწყვეტილი რეინტეგრაციის შემწეობის მიღების უფლება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად და ასევე, 2019 წლის განმავლობაში მოიპოვებს ამ უფლებას, მის შეწყვეტამდე	36.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	120	140	არამომართვიანობა

ბ.ზ) ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური	
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	35.0	
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არიან სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, მათთვის უმთავრესი საჭიროების მქონე ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ, ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი სალფეთქებით დახმარება. დახმარების მთხოვნელი ყოველთვიურად, განცხადებასთან ერთად, წარმოადგენს კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელ საბუთს, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან ცნობას აღნიშნული შპმ ბენეფიციარის „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის შესახებ, ანგარიშგაქტურას აფთიაქიდან. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ყოველთვიურად მომზადდება 40 ლარის ღირებულების საგარანტიო წერილი.	
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციართა დახმარება	
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დახმარება ჰიგიენური საფენებით	30.0
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დახმარება სველი სალფეთქებით	5.0

6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	75	100	არამომართვიანობა

ბ.თ) ქვეპროგრამა: უფასო მგზავრობა (პროგრამული კოდი 06 02 08)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური	
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	293.8	
3.	ქვეპროგრამის აღწერა	საქალაქო ტრანსპორტით, ავტობუსით: №1 წრიული (მარცხენა), №1 წრიული (მარჯვენა), №4, №5, №10, №19, №20, №22, №25, №31 – სარგებლობის უზრუნველყოფა შემდეგი კატეგორიის პირებისათვის: ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის“ ბენეფიციარები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები (ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობის კოდი: 100, 111, 112, 113), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად შშმ პირები (კოდი: 311, 312, 313), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულის ოჯახის წევრები (კოდი: 501), „წითელი ჯვრის“ კლუბების ხანდაზმული პენსიონრები (100 ბენეფიციარი), „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამით მოსარგებლე დედები, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, „SOS“-ბავშვთა სოფლის ბენეფიციარები, სტუდენტური ოჯახები (ცოლი და ქმარი, ორთავე სტუდენტი) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები ბენეფიციარები. სულ 1000 პირი. ქვეპროგრამით სარგებლობა მოხდება სამგზავრო მოწმობებისა და ბილეთების გამოყენებით, ბილეთის ფასი 40 თეთრი. ბილეთის გამოყენება შეიძლება სამგზავრო მოწმობასთან ერთად. ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) პირები. სამგზავრო მოწმობის მისაღებად საჭიროა ფოტოსურათის, პირადობის მოწმობისა და კატეგორიის მიმანიშნებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ეკონომიის ხარჯზე, შესაძლებელია დამატებითი კატეგორიის კონტინგენტისა და განსაკუთრებული შემთხვევების მომსახურება სამსახურის გადაწყვეტილებით. ბენეფიციარებზე გაიცემა თითოეულზე თვეში 60 (სამოცი) ბილეთი (ბილეთის მისაღებად აუცილებელია ბენეფიციარმა წარმოადგინოს უფასო მგზავრობის მოწმობა). ქვეპროგრამაზე მომსახურე გადამზიდვეებისათვის თანხის ანაზღაურება მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გახარჯული ბილეთების რაოდენობის მიხედვით.	
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა	
